ლიმონაკი

№12, 2015

გამოცემის
111-ე
წელი

ნაძვის ხეზე დასაკიდი ლოკოკინა

ლელა მეტრეველი

საახალწლო ნაკვრა

დეკემბერი მიილია,
მთა და ბარი დათოვა,
წინ ახალი წელია და
ზეიმი და გართობა.
თოვლის პაპა საჩუქრების
ფერად კრებულს განაგებს,
ჩვენს წერილებს კითხულობს და
დიდ ხურჯინში ალაგებს:
ვისთვის წიგნს და
ვისთვის ბურთს და
ვისთვის ლამაზ თოჯინას,
მეც მოველი მოუთმენლად,
გადავიქეცი ლოდინად.
მეშინია, არ გამოვრჩე
იმ მარხილით ქროლაში,
ნეტავ, ჩანთა მომიტანოს –
ჩქარა წავალ სკოლაში.

ნათია ჯანაშია

როდის მოვა თოვლის პაპა

მაშინ, როცა დეკემბერი წავა,
გზას დაუთმობს იანვარს და თოვას,
პატარებო, ახალი წლის ღამეს
თოვლის პაპა საჩუქრებით მოვა.

ყველაფერი დაუჯერეთ მშობლებს,
სწავლით გული გაუხარეთ, თორემ
თოვლის პაპა ურრ და ზარმაც ბავშვებს,
დამიჯერეთ, უსაჩუქროდ ტოვებს.

ვასილ გულეური

სპილო

ყველა სპილოს შეჰყურებს,
საზეიმოდ მორთულს –
სამკაული უმშვენებს
ყურებსა და ხორთუმს.
მძივს იკიდებს ეშვებზე
ქალბატონი სპილო...
საყურეა შვიდი და
მძივი – ათი კილო.

მანანა ქურდაძე

ცყის ზეიმი

ტყის ბინადართ გადაწყვიტეს,
ერთად შეხვდნენ ახალ წელს:
დიდი ნაძვი შეარჩიეს,
მორთეს, სუფრაც გააწყვეს;
ყველა ერთად შემოუსხდა,
საახალწლო მაგიდას,
ყველაფერი უხვადა აქვთ,
თქვი, ოღონდაც, რა გინდა.
დრუნჩამ ცეკვა გააჩაღა,
დაძუნძულებს ბურდღუნა,
ბაჭია კი ისე დახტის,
ლამის ფეხმა უმტყუნა.
ზღარბი დინჯად გადახედავს
ამ ონავარ ყმანვილებს,
მერე თვითონ ხელმძღვანელობს,
საცეკვაოდ აწყვილებს.
მოილხინეს საახალწლოდ –
გული კარგად იჯერეს,
მერე სახლებში წავიდნენ,
დედიკოს დაუჯერეს.

მაია წიგნაძე

ახალი წელი ცყეში

ახალი წლის ღამეა,
ციმციმებენ სანთლები,
მგელთან სტუმრად მიდიან
ჟირაფი და დათვები.

მგელმა თავი გამოყო,
მომივიდნენ სტუმრები,
კორდზე დავლურს უვლიან,
მაჩვები და ტურები.

ციყვი გირჩს ახრამუნებს,
ნაზუქს აცხობს მელია,
ტურა შვილებს უმღერის,
ოდელია, დელია.

მხიარულობს მთელი ტყე,
ცეკვავენ და მღერიან,
ულოცავენ ერომანეთს,
ყველა ბედნიერია.

ლელა ცუცქირიძე

დიმ-დაირა

– დამ-დაირა, დალულ-დული, –
დათვის ბელი დავლურს უვლის.

– უი, მაგას რა ვუთხარი,
როგორ კვანწავს თანაც თათებს,
ჰგონია, რომ ბალეტს ცეკვავს,
პუანტებით დათანთალებს.

მხატვარი
იულია ნიკოგოსოვა

მანანა წერეთელი

წრიპისა და წრაპის ყჩვეყლოოდ თბილი ზამთარი

წრიპი და წრუპი პატარა თაგუნები არიან, ტყუპი ძმები. წრიპის ძალიან უყვარს წრიპინი, ამიტომ დაარქვა დედამ ეს სახელი. წრუპის კი საჭმლის წრუპვა უყვარს. რაც უნდა ჭამოს, ყველაფერს წრუპვით სანსლავს, ამიტომაც დაარქვეს წრუპი.

ძმებს ძალიან უყვართ ერთმანეთი და სულ ერთად არიან. ისინი ერთი ცხრასართულიანი სახლის სარდაფში ცხოვრობენ.

ბევრი არაფერი აბადია მათ ოჯახს: საკუჭნაო, სადაც ძალიან იშვიათად თუ შეინახავენ მარაგს, მამა თაგვის მოტანილი ძონძები, რაზეც დაღლილები რიგრიგობით იძინებენ, და ძველი, გვერდებჩამომტვრეული თიხის ქოთანი, რაშიც მილიდან გამოჟონილი წყალი გროვდება.

მერე რა მოხდა?! პატარები არ დარდობენ იმაზე, რომ ბევრი არაფერი აბადიათ. როცა გაიზრდებიან, დედ-მამას დაეხმარებიან, დაუგროვებენ ზამთრის მარაგს, მოიტანენ ძველმანებს, რომ ყველას ეყოს დასაწოლად. იქნებ, უკეთესი საცხოვრებელიც კი შეარჩიონ – თვითონ საშოვარზე წავლენ, დედა და მამა კი მათ ლოდინში უსაფრთხოდ იქნებიან.

მაგრამ ამისთვის შრომაა საჭირო...

ძმები უკვე წამოიზარდნენ და დამოუკიდებლად შეუძლიათ საკვებისთვის გაძრომ-გამოძრომა. დილაადრიანად გადიან, თან დედის დარიგება მიჰყვებათ კუდში: აბა, თქვენ იცით! ფრთხილად იყავით, სადმე კატას არ გადააწყდეთ, რკინის ნივთებს მოერიდეთ, ცხვირიც არ შეჰყოთ შიგ, მახე ექნებათ ადამიანებს დაგებული და მერე ვერაფერი გიშველით!

იციან თაგუნებმა უკვე, რა საფრთხეც ემუქრებათ, მაგრამ მგლის შიშით ცხვარი ვის გაუწყვეტია?! თუ შეეშინდებათ, მარაგს კი არა, საკვებსაც ვერ იშოვნიან. სიფრთხილე კი, ნამდვილად, აუცილებელია! ისინიც ფრთხილად მიუყვებიან ბნელ ხვეულებს, თვალები ფართოდ აქვთ გახელილი და ცხვირების ცმაცუნით, ჰაერის ყნოსვით შორიდანვე გრძნობენ, რომელ ბინაში ჯობს შეძრომა, საიდან შეიძლება უფრო მეტი საკვების გამოტანა.

თავიანთი მოხერხებულობით მრავალჯერ დაუძვრენიათ თავი სხვადასხვა განსაცდელიდან და სხვებსაც დახმარებიან.

ერთხელ, ახალი წლის წინა ღამით, ერთ-ერთ სართულზე ძმებმა დამტვრეული კაკლის ერთ დიდ თასს მიაგნეს და სიხარულით დაფაცურდნენ. რაც შეიძლება მეტი ნიგვზის გატანა უნდა მოესწროთ დილამდე ისე, რომ ვერავის შეენიშნა. ისინიც ხომ ხელხვავიანად უნდა შეხვედროდნენ ახალ წელს! ჯერ ხვრელში შეჰქონდათ, იქ აგროვებდნენ, შემდეგ უფრო უსაფრთხო იქნებოდა მარაგის ჩატანა სარდაფში.

თასი თითქმის რომ გაანახევრეს, წრიპიმ ძმას ჩუმად ჩაუწრიპინა:

– წრუპი, გვეყოფა, წავედით. მალე ინათებს და შეიძლება შეგვნიშნონ.

წრუპი უსიტყვოდ მიჰყვა. ხვრელის იქით ნიგვზების პატარა გორა იდგა, კარგად ემუშავა ორივეს – სულ დარჩეული ნიგოზი გამოერჩიათ კაკლის ნაჭუჭიდან. წინ წაგდებული საქმე გამოუვიდათ: დედ-მამას აღარ მოუწევდა კაკლის მტვრევა და ნიგვზის გამორჩევა.

ახლა სარდაფში უნდა ჩაეზიდათ. ეს უფრო რთული საქმე იყო, თუმცა მოხერხებულმა ძმებმა კარგად იცოდნენ ყველა ხვრელი და საიმედო გზა აირჩიეს. დინჯად ეზიდებოდნენ, აღარ ჩქარობდნენ – აქ მათ საფრთხე არ ელოდათ.

კარგად იშრომეს. ორი გზობაღა ექნებოდათ დარჩენილი, რომ უეცრად ერთ-ერთი ბინიდან საწყალობელი წრიპინი შემოესმათ და გაშეშდნენ. ყურებდაცქვეტილებმა ჯერ ერთმანეთს გადახედეს, შემდეგ კი ერთდროულად შეძვრნენ იმ ხვრელში, საიდანაც ხმა ისმოდა.

როგორც კი თავი შეყვეს ოთახში, შეამჩნიეს მოზრდილი ხაფანგი, რომლის ნახვრეტიდან ცხვირი გამოეყო მათ ნაცნობ თაგვს და შველას ითხოვდა.

წრიპი სწრაფი და საზრიანი იყო, წრუპი კი გონებადინჯი. სანამ წრუპი რამეს გადაწყვეტდა, წრიპს საქმე უკვე დამთავრებული ჰქონდა. ახლაც ასე მოხდა: წრიპი მივარდა ხაფანგის კარის მავთულს, კბილებით ჩაეჭიდა და მოქაჩა. თენდებოდა და რაც შეიძლება მალე უნდა გაეთავისუფლებინათ ტყვე, თორემ გაიღვიძებდნენ ადამიანები და, მტერს, რაც მათ დაემართებოდათ! წრუპი კი იდგა და ფიქრობდა, რა გაეკეთებინა, რომ საბრალოს დახმარებოდა. უცებ მასაც გაუნათდა გონება, კარის ღრიჭოში ცხვირი შეყო, მაგარი კბილებით კიდეს მოეჭიდა და გამოწია.

ორივეს ძალისხმევით კარი აიწია, წრუპი შიგნით შეძვრა და ახლა იქიდან მიაწვა მთელი ძალით. აი, აქ კი შეცდომა დაუშვა: მართალია, დატყვევებულმა თაგვმა მოახერხა ხაფანგიდან თავის დაძვრენა, მაგრამ წრუპი შიგნით ჩარჩა. კარი მძიმე იყო და ისევ ჩაიკეტა. წრიპი გამწარდა, მთელი ძალით მოეჭიდა მავთულს, მაგრამ ძვრაც ვეღარ უყო. განთავისუფლებულ თაგვს მიაძახა:

– დამეხმარე, ღრიჭოდან მოქაჩე, როგორც წრუპიმ გააკეთა, ორივე უფრო მოვერევით, მე მარტო ვერ ავწევ.

თაგვი დაფიქრდა, შეშინებულმა გაიხედ-გამოიხედა, ცხვირი გაურკვევლად გააცმაცუნა და ადგილიდან ისე სწრაფად გაუჩინარდა, განსაცდელში ჩავარდნილმა ძმებმა თვალიც კი ვეღარ შეასწრეს.

თაგვის საქციელმა ძმებს გული ატკინათ, თუმცა რაღა უნდა ექნათ? თვითონ უნდა ეშველათ საკუთარი თავისთვის, მაგრამ როგორ?

წრუპი მთელი ძალით აწვებოდა კარს, რამდენჯერმე დაეჯახა კიდეც, მაგრამ ვერაფერს გახდა. მავთულისა და ღრიჭოს ერთდროული გამოყენებით კარი გარედან უფრო ადვილად გაიღო, წრიპი კი მარტო ვერაფერს გააწყობდა, ორივეს ერთად ვერ მისწვდებოდა. დაღონდნენ ძმები. წრიპიმ ნახვრეტში ცხვირი შეყო და ძმას წასჩურჩულა:

– ნუ გეშინია, არ მიგატოვებ! ან გაგათავისუფლებ, ან შენთან დავრჩები!

წრუპიმ საცოდავად აცმაცუნა ცხვირი, ყურები ჩამოყარა და აცახცახებული კუთხეში მიიკუნჭა.

– დავიღუპე, წრიპი! – და ცრემლი ჩამოუგორდა.

წრიპიმ კიდევ ერთხელ ცადა კარის ადგილიდან დაძვრა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა, თავი ჩაღუნა, ხაფანგის კედლის გარეთ წრუპს გვერდით მიუცუცქდა და ბედს დამორჩილდა.

წრუპიმ ნახვრეტიდან გამოხედა, ამოიოხრა და თუმცა დანანებით, მაგრამ გულით სთხოვა:

– გეხვეწები, წრიპი, წადი. შენ მაინც უშველე თავს! დედიკო და მამიკოც ხომ ცოდონი არიან, სულ მარტო დარჩებიან!.. ალბათ, როგორ გველოდებიან!..

– არა, – მტკიცედ მიუგო წრიპიმ, – ვერ მიგატოვებ! დედას ხომ ხშირად უთქვამს ჩვენთვის: განსაცდელის დროს ერთად უფრო მოძებნით გამოსავალს, ცალ-ცალკე კი აუცილებლად დაიღუპებითო. სადაც შენ, იქაც მე!

გათენდა. გულაფართხალებული ძმები უცდიდნენ, როდის მოაკითხავდნენ ადამიანები და რა ბედი ეწეოდათ. ამ ლოდინში მზეც ამოვიდა.

ფანჯრიდან შემოფრქვეული სხივები სამზარეულოს კედლებზე ათამაშდნენ, აცეკვდნენ, ზამთრისთვის უჩვეულო სითბო შემოიტანეს.

– რა კარგი იქნებოდა, ახალ წელს ერთად რომ შევხვედროდით!.. რამდენი თხილი და კაკალი გვაქვს მომარაგებული, დედამ ბრჭყვიალა ბურთებიც მოიტანა... რას გავერთობოდით! – ამოიქვითინა წრუპიმ.

– თან არც ცივა! – წრიპი თავის შეკავებას ცდილობდა, მაგრამ ხმა მაინც უთრთოდა ყელში მოწოლილი ცრემლებისგან. – ნეტავ, რა გველოდება?

უცებ ფეხის ხმა გაისმა. ორივე შეხტა. წრუპი ძმის მხარეს კედელს მიასკდა, თითქოს წრიპის უნდა ჩახუტებოდა, მაგრამ ცივ კედელს წააწყდა და იმედგაცრუებული, ღონემიხდილი იქვე ჩაჯდა. არც წრიპი იყო უკეთეს დღეში, ისიც ცახცახებდა. მას კიდევ შეეძლო გაქცევა, თავის გადარჩენა, მაგრამ ძმის სიყვარული არ უშვებდა.

– ერთი ამათ დამიხედეთ!..

ქალი გაოცებული უყურებდა თაგვებს.

– ასეთი რამ ჯერ არ მინახავს!.. ერთი თაგვი დაუჭერია ხაფანგს, მეორე კი გვერდიდან არ სცილდება... რაო, ერთად გინდათ ყოფნა? ძალიან კარგი! მაშ, ერთად იქნებით...

ქალმა კუდით დაითრია შიშისგან თვალდახუჭული წრიპი, ხაფანგი აატრიალა, კარი სწრაფად გააღო და წრიპსაც შიგ შეუძახა.

– ისხედით ერთად, მაინც ერთად ყოფნა გინდოდათ! – დამცინავად უთხრა ქალმა, – ცოტა ხანი მაცალეთ და მოგივლით! თუმცა ძალიან მეზარება თქვენი გულისთვის ამ დილაადრიან ქვევით ჩასვლა.

თაგუნები ერთმანეთს ჩაეხუტნენ, მაგრამ ქალს ეს არც დაუნახავს და, კიდეც რომ დაენახა, არც ინაღვლებდა.

ტყვეობის წუთები საუკუნედ მოეჩვენათ შიშისგან ღონემიხდილ ძმებს. ორივეს დაძაბული ჰქონდა გონება, თავის დახსნის გზებს ეძებდნენ, კარს მთელი ძალით აწვებოდნენ, მაგრამ გამოსავალი არ ჩანდა.

– მაინც არ დავნებდეთ, წრუპი, იქნებ, ბოლო წუთებში გამოჩნდეს გადარჩენის გზა! – ძმის გამხნევება ცადა წრიპიმ.

წრუპის თვალებში წამიერად გაიელვა იმედმა, მაგრამ მალევე ჩაქრა და ჩაიფერფლა. ძმებმა ისევ ჩამოყარეს ყურები.

და აი, გამოჩნდა ეს შეუბრალებელი ადამიანი, დაავლო ხელი ხაფანგს და გაურკვეველი მიმართულებით წაიღო. დაბნეული ძმები ხან ერთმანეთს ეხლებოდნენ, ხან კედლებს.

– კარგად მომეჭიდე, წრუპი! – გააფრთხილა წრიპიმ, თუმცა წრუპის გაფრთხილება აღარ სჭირდებოდა, უკვე კბილებითაც ებღაუჭებოდა ძმას.

– თქვენი გულისთვის ქვევით ვერ ჩავალ... აბა, იფრინეთ აქედან! არა მგონია, მიწამდე სული ჩაგყვეთ... – ჩაიცინა ქალმა, კარი გააღო, ხაფანგი კარგად დაიქნია და თაგუნები მეექვსე სართულის აივნიდან ძირს გადაყარა, თან – თუ გადარჩებით, ალალი იყოსო! – მიაძახა.

დაბნეულ ძმებს უცებ გონება გაუნათდათ.

– აბა, შენ იცი, ხელი არ გამიშვა... ერთად უფრო გადავრჩებით!.. ქვევით ბუჩქია, წრუპი, ბუჩქი... – ძლივს მოასწრო მიწისკენ მქროლავმა წრიპიმ ძმის გაფრთხილება, რომ ფრენა დასრულდა და ორივე, ერთმანეთს ჩაბღაუჭებული, ბურთივით დამრგვალებულები, ჯერ ბუჩქზე დაეცნენ, შემდეგ კი მიწაზე გაგორდნენ.

ყველაფერი დამთავრდა.

გვერდებჩათეთქვილმა თაგუნებმა ტკივილი არაფრად ჩააგდეს, სწრაფად წამოხტნენ და სარდაფში მიიმალნენ.

იმ ღამეს ახალი წელი თენდებოდა –კაკლისა და თხილის დიდი მარაგითა და ბრჭყვიალა ბურთულებით.

მხატვარი
ვაჟა ქურხული

მხატვარი
ნატა კუცია

იპოვე დამალული საგნები

გამოცანები

მიხეილ ხარიტონაშვილი

***

სიცივეში მშვიდია,
სიცხეში კი ტირის
არც ხელი აქვს, არც ფეხი
არც თავი, არც პირი,
სარკესავით პრიალებს
სხეულმოვერცხლილი.

(. . . . . .)

***

გული აქვს ცეცხლის
და ცეცხლის თვალი,
აგურის თავი,
აგურის ტანი.

(. . . . . .)

***

გავახარებ პატარებს,
მოვალ თეთრი ნაბდითა,
გაზაფხულის მოსვლაზე
ჩამოვდნები დარდითა.

(. . . . . .)

ბესიკ კეკელიძე

შობის ღამე

დალალოქრო გოგონებო, კრიჭმაჭუნა ბიჭუნებო,
ლოუებბუშტა, დაჭორფლილო, თვალხატულა გოჭუნებო,
გოზინაყით დაშაქრულნო, ფელამუშით მოთხვრილებო,
ჩვენი უფლის დღეობაა, იხალისეთ, გულთბილებო!

იცეკვეთ და გაილაღეთ, თოვლის ბაბა იხმეთ თქვენთან,
შობა გაგვითენდებაო – იღიღინეთ ნამვის ხესთან,
კანფეტებით ჩატკბარუნდით საახალწლო საჩუქრებთან,
ჩაროზით და ჩურჩხელებით იმასპინძლეთ მეგობრებთან.

ფანჯარასთან, სანთლით ხელში, შეეგებეთ ქრისტეს შობას,
ანგელოზი გესტუმრებათ და გაგიწყეთ მფარველობას,
დამიკოცნეთ ბებიები, არც ბაბუებს აკლოთ რამე,
მშობლებს ბევრი ეალერსეთ, მიულოცეთ შობის ღამე.

ლოუებბუშტა დაჭორფლილო, თვალხატულა გოჭუნებო,
გოზინაყით დაშაქრულნო, ფელამუშით მოთხვრილებო,
დალალოქრო გოგონებო, კრიჭმაჭუნა ბიჭუნებო,
ჩვენი უფლის დღეობაა, გაიხარეთ, ღვთის შვილებო!

მხატვარი
მარიამ სუპატაშვილი

ვლადიმერ ასლამაზიშვილი

ფრიდონა

ფრიდონას მამა ჯარში მსახურობს – ჯარის ბიჭებს ტანკის მართვას ასწავლის. ამასწინათ მამა შვებულებით რომ მოვიდა, ფრიდონას მუყაოს ყუთში შეფუთული მწვანე ფერის, ცელულოიდის ტანკი მოუტანა. ბიჭმა გაიხარა, ტანკს თოკი გამოაბა და ეზოში არბენინა – ბრუნავდა ტანკის კოშკურა, მასთან ერთად ბრუნავდა ბურატინოს ცხვირივით აბზეკილი ქვემეხის ლულა და იმისთანა ტრახტრახის ხმები ისმოდა, შეშინებულმა კატებმა და ძაღლებმა სადარბაზოებს შეაფარეს თავი.

ფრიდონამ ახალი წლის წინა დღესაც ჩაიტანა ეზოში თავისი ტანკი, დრო რომ ჩქარა გასულიყო და ახალი წელი დამდგარიყო. კარგა ხანს ითამაშა, მხოლოდ მაშინ გაუშვა ხელი ტანკზე გამობმულ თოკს, როცა ზედა სართულიდან ხვთისავარ პაპამ გადმოსძახა, ამოდი, ვისადილოთო. სწორედ ამ დროს ეზოში მოტოციკლი შემოგრიალდა, ფრიდონაანთ სახლის წინ, სადარბაზოსთან გაჩერდა, იქიდან შავსათვალიანი, თავზე მუზარადჩამოფხატული კაცი გადმოვიდა, თავიდან შავსათვალიანი მუზარადი გადაიძრო, მოტოციკლის საჭეზე დაკიდა და იქვე მდგომ ფრიდონას ჰკითხა:

– ძმაკაც, ამ სადარბაზოში ვინმე მოქალაქე ფრიდონა ცხოვრობს?

კაცმა ფრიდონას სახელი რომ ახსენა, გაკვირვებულმა ბიჭმა თავი დაუქნია:

– ცხოვრობს, ძია!

– შენ გაზრდას, მიდი, დაუძახე, რა! – სთხოვა ფრიდონას იმ კაცმა და მოტოციკლის საბარგულში რაღაც ქაღალდებს დაუწყო ქექვა, მერე იქიდან ერთი ბეჭედდასმული ქაღალდი და დალუქული კონვერტი ამოიღო.



მხატვარი
გიორგი ჩაჩანიძე

– ფრიდონა მე ვარ, ძია! – თქვა ბიჭმა და გულ ჩიტივით შეუფრთხიალდა, დედამისი სწორედ ისეთ წერილებს იღებდა მამიკოსგან, იმ კაცს რომ ეჭირა ხელში.

– კარგია, ძმაკაც, აქ რომ დამხვდი და მაღლა სართულების კიბეებზე არ მომიხდა ციყვივით ხტომა, – თქვა იმ კაცმა და ფრიდონას ხელი ჩამოართვა, გაეცნო.

– მე ფოსტალიონი ვარ, წერილებს ვარიგებ. აი, ერთი წერილი შენც მოგიტანე! – ფოსტალიონმა კონვერტზე წარწერას დახედა და იკითხა:

– ძმაკაც, ჯარში ვინმე გყავს?

– მამა იქ მსახურობს, ჯარის ბიჭებს ტანკის მართვას ასწავლის! – სხაპასხუპით მიუგო ფრიდონამ – მოთმინება აღარ ჰყოფნიდა, ხელში როდის ჩაიგდებდა წერილს.

მაგრამ ფოსტალიონი არ ჩქარობდა. მან ბიჭს ბეჭდიანი ქაღალდი უჩვენა:

– ხედავ, აქ, საფოსტო წესდების მიხედვით, შენი ხელმოწერაა საჭირო.

„აი, ხათაბალა თუ გინდათ, ეს არის“ – გაიფიქრა ფრიდონამ და ძლივს გასაგონად წაიბურდღუნა:

– წერა რომ არ ვიცი, ძია?

– არ იცი? – გაუკვირდა ფოსტალიონს. – ძმაკაც, რამდენი წლისა ხარ?

– ოთხის, ჯერ ბაღში დავდივარ!

– აბა, რა ვქნათ, ამ ქაღალდზე ხელი თუ არ მოაწერე, ისე წერილს ვერ ჩაგაბარებ – საფოსტო კანონებს ვერ დავარღვევ!

ფრიდონამ ამოიოხრა. ბრაზი მოსდიოდა, რომ წერა არ იცოდა.

უცებ ფოსტალიონმა ჰკითხა:

– შენ ეს მითხარი, ხატვა თუ იცი?

– ბაღში ტანკებსა და თვითმფრინავებს ვხატავ, თუ გინდათ, ტანკს დაგიხატავთ, – შესთავაზა ფრიდონამ.

ამის გაგონებაზე ფოსტალიონი ისე დაიღმიჭა, თითქოს მწარე წამალი გადაეყლაპოს. უარის ნიშნად თავი გადააქნია.

– ნწუ, ქაღალდზე ხელმოწერის ნაცვლად ტანკი გინდა დახატო? არ გამოვა. იცი რა, ძმაკაც, მოდი, შენი გვარ-სახელის გასწვრივ ჯვარი ჩახატე და ამით მოვრჩეთ! – ფოსტალიონმა მოტოციკლის საბარგულზე ქაღალდი დადო და ფრიდონას ხელში კალამი მიაჩეჩა.

ბიჭმა მინიშნებულ ადგილზე ჯვარი ჩახატა და იკითხა – ერთი ჯვარი ეყოფა?

– ეყოფა! – ფოსტალიონმა ქაღალდი აიღო, დახედა და თქვა:

– საფოსტო წესდების ყველა კანონი დაცულია, ვერავინ შეგვედავება! – ქაღალდი მოტოციკლის საბარგულში ჩადო, ფრიდონას წერილი მისცა და შავსათვალიანი მუზარადი თავზე დაიხურა, ბიჭს გამომშვიდობების ნიშნად ხელი აუწია და მოტოციკლის ხმაურში შესძახა:

– ნახვამდის, კარგო ბიჭო, ლამაზი ახალი წელი იზეიმე!

მოტოციკლი ტრახტრახით მიეფარა თვალს.

ფრიდონამ მამის წერილი მკერდზე მიიხუტა და სადარბაზოში შეირბინა. უცებ წინ ხვთისავარ პაპას შეეფეთა, ბიჭი რად იგვიანებს, სახლში რატომ არ ამოდისო, – ამბის გასაგებად მოხუცი ძირს ჩამოსულიყო.

– მამიკოსგან წერილი მივიღე! – შესძახა ფრიდონამ. ხვთისავარ პაპას კონვერტი უჩვენა და სთხოვა – ჩქარა წამიკითხე, მამიკო რას იწერებაო.

მოხუცმა იცოდა, ბიჭი რა მოუთმენლი იყო, ცხვირზე სათვალე მოირგო, კონვერტს ერთი კიდე წააფხრიწა, იქიდან ორად მოკეცილი ქაღალდი ამოიღო და ხმამაღლა წაუკითხა:



ხვთისავარ პაპამ წერილი ისევ ორად მოკეცა, კონვერტში ჩადო და თქვა:

– ავიდეთ ზევით, დედა გავახაროთ!

პაპა და შვილიშვილი ზემო სართულისკენ ამავალ კიბეს აუყვნენ.

ბელები და ქორის ბახალები

– სადა ყოფილხართ, ბელებო,
რად ხტუნავთ, ან რა გახარებთ?
უკვირთ ბელების ცელქობა
ქორის ონავარ ბახალებს.
– მთელი ტყე შემოვიარეთ,
ვჭამეთ მოცვი და მაყვალი,
ზედ დავაყოლეთ ტყემალი
და ჰანტა, დაბლა ნაყარი.
– ეგ ხომ ისედაც გეტყობათ,
დაგწითლებიათ დრუნჩები,
ახლა სად მიგეჩქარებათ,
რომ გადმოთელეთ ბუჩქები?
– ჩხიკვებმა კარგი ამბავი
შეგვატყობინეს ამ დილით –
მოცხარი დამწიფებულა,
ჩვენს მაღალ მთაში გაზრდილი,
ახლა იქითკენ მივდივართ,
დაგვხვდება კარგი სადილი...
– მერე ჩხიკვების ნათქვამი
თქვენა გგონიათ მართალი?
– მართალი გახლავთ, იმავეს
გვიდასტურებენ ყვავები,
თქვენც თუკი წამოგვყვებოდით,
ძალიან გავიხარებდით.
– აბა, რას ამბობთ, ბელებო,
მოცხარს არა ვჭამთ, ხომ იცით?
დღეს სანადიროდ მივდივართ
და თქვენთვის როგორ მოვიცლით?
– თქვენი ტრაბახი ვის ჯერა?
თავი გგონიათ გმირები,
არ მოსცდეთ – მთელ ტყეს ეყოფა
ის თქვენი ნანადირევი.
ჩვენთან წამოსვლა გერჩიოთ,
ახალ ხილს გაჭმევთ, განა მველს? –
ასძახეს ქორებს ბელებმა
და გზა ხითხითით განაგრძეს.

მუხა და ციყვი

ზამთარია, ნისლიან ტყეს
ეფინება ფიფქი ცოდან.
მობუზულა მუხის ძირას
ციყვუნია, ერთი ცოდა.
მუხა უხმობს: – ჩემთან მოდი,
მე გაგათბობ, თუ შეგცივდა!..
შეიფარა ფუღუროში,
ხმელ ფოთლებზე მიაწვინა,
რკოც მრავალი დაახვედრა,
ათამაშა და აცინა,
მერე ზღაპარი უამბო,
ბოლოს, იქვე მიაძინა...

მხატვარი
მალხაზ კუხაშვილი

ნინო არსენაშვილი

ორი ახალი წელი

– შობა-ახალ წელს მოგილოცავთო! – იტყოდა ბებია-ჩემი და კიდევ ბევრ სალოცავ სიტყვას მოაყოლებდა. სულ უკვირდა: კალენდარი თუ ცამეტი დღით გადასწიეს, ახალი წელი პირველ იანვარს როგორღა იქნებაო?! ჯერ შობაა და მერეა ახალი წელიო.

1 იანვარს, დედასა და მეზობლების ხათრით, თვითონაც ფუსფუსებდა, საქმიანობდა, მაგრამ სულ სხვა იყო შობისწინა სამზადისი; პურს გამოაცხობდა, ნაზუქებს, ბასილებს, ხმლებსა და ნამგლებს. ხმლებსა და ნამგლებს ბიჭებს დაურიგებდა, თუმცა ნამგლებს გოგონებსაც მოგვცემდა; მსუყეგულიან ნაზუქებს დაგვიჭრიდა, ლოცვას იტყოდა და ისე მიგვიწვევდა სუფრასთან, რომელიც სხვადასხვა გემრიელი საჭმლით იყო სავსე. ღვინოც ჩვენი გვქონდა. სუფრის თავში თამადად პაპა დაჯდებოდა, ჯერ ღვთის სადიდებელს იტყოდა, მერე ფუძის ანგელოზსა და ოჯახს დალოცავდა, თითოეულ წევრს მოგვესიყვარულებოდა, წინაპრებს გაიხსენებდა; მომავლისას ბავშვების სადღეგრძელოსთან ერთად შესვამდა; მეზობლებს დალოცავდა, მეგობრობას, სიყვარულს, ქვეყანასა და მის სალოცავებს და ბოლოს ყოვლადწმინდა ღვთისმშობელს შეავედრებდა ყველაფერ ამას. სადღეგრძელოების შუალედში ხან ლექსებს გვათქმევინებდა, ხან ვცეკვავდით, ხან ვმღეროდით. – მალე ახალი წელი მოვა და ღორიც დავკლათო, – იტყოდა. ბებო კვირვობდა: ორი ახალი წელი, ნეტავ, რა საჭიროა, ეს რა უცნაური ქვეყანაა, ერთხელ ახლით ახალ წელს ვხვდებით, მეორედ – ძველით ახალსო; განა ერთი ახალი წელი არ გვეყოფოდა; განა არ შეიძლებოდა, 7 იანვარს შობა გვედღესასწაულა და 14 იანვარს ახალი წელიო. ხომ არის ქვეყნები, სადაც მაინცდამაინც 1 იანვარს არ დგება ახალი წელი და ჩვენც იმათ მსგავსად ვყოფილიყავითო.

– კარგი, დამშვიდდი. რა არის ამაში ცუდი? ჩვენც ორჯერ აღვნიშნოთ. თუ ახალი წელი არ მოგწონს, ძველი წლის გაცილება დავარქვათო. ახალი წლის მეორე დღეს კიდევ ხომ ბედობას ვეძახით და ორშიც ვქეიფობთ; მერე შვიდში შობას ვხვდებით, 14-ში – ძველით ახალ წელს, 15-ში – ბედობას, 19-ში – ნათლიღებას, 27 იანვარს ნინოობაა – შენი მფარველი წმინდანის ხსენების დღეო, – ჩამოთვლიდა პაპა და თან ულვაშებში ეღიმებოდა – ვიქეიფოთ მთელი იანვარი, რა უშავსო.

– შენ ყველაფერზე ხუმრობა გიყვარსო, – ჩაიჯუჯღუნებდა ბებია და სიყვარულით მოგვავლებდა მზერას მასპინძლებსაც და სტუმრებსაც.

მე ვფიქრობ, რომ ბებო მართალი იყო... და კიდევ ვფიქრობ, რომ პაპაც მართალი იყო.

მე ასე ვფიქრობ, შენ?

იპოვე ექვსი განსხვავება

მხატვარი
ნატა კუცია

თაფლო ზარიძე

თოვლის გუნდა დათუჩები

ზამთრის ქარი ზუზუნებს...

გაიღვიძა დედა დათვმა, გაიზმორა, გაიხედა გარეთ... თურმე მთელი ტყე ფუმფულა თოვლით დაფარულა... გამხიარულდა დედა დათვი, სულ ყირაზე გადადის...

აიღო უზარმაზარი ცოცხი, გვის, თან მღერის, ისე მღერის, ბუნაგი ზანზარებს. ცოცხს აქეთ-იქით ურახუნებს, თან ცეკვავს...

ისე გაერთო ცეკვა-სიმღერით, უნებურად ნაგავს პაწაწინა ბელებიც გააყოლა. მიაჯახუნა კარი და გადარაზა, ცოცხი კართან მიაყუდა. ებღაუჭებიან ბელები კარს, მაგრამ ვერ აღებენ, სცივათ, სლუკუნებენ საცოდავად... დედა დათვი კი მღერის და სულაც არ ესმის მათი სლუკუნი.

– სანამ დათუჩები გაიღვიძებენ, ღვეზელებს გამოვაცხობ...

დაიბანა ხელ-პირი, ღიღინებს, და ღვეზელებს აცხობს, დათუჩები კი გარეთ კავკავებენ...

დედა დათვმა მრავალგვარი ღვეზელი გამოაცხო: კომშის, ვაშლის, პანტის, შვინდის... ერთი სიტყვით, ყველა იმ ხილის, რაც ტყეში მოიპოვება... გააწყო სუფრა, ცხელი კომპოტი ფინჯნებში ჩამოასხა, მივიდა ბელებთან, უნდა გააღვიძოს... სად არიან ბელები?! ეგ ცელქები! უკვე გაუღვიძიათ და გაპარულან. ალბათ, გარეთ, თოვლში თამაშობენ... გაცივდებიან და მოხვდებათ! აბა, ერთი რომელიმემ დაახვეოს!!!

მხატვარი **კესო ფრანგიშვილი,** 10 წლის

გააღო ბუნაგის კარი, გაიხედა. ახლომახლო ბელების ჩამიჩუმიც არ ისმის...

ხედავს, თოვლის გუნდები მოძრაობენ... ეს რაღა ჯანდაბაა?! დედა დათვს არასოდეს უნახავს მოსიარულე თოვლის გუნდები და გაოცებული უყურებს. ჯერ თათი მოუსვა, მერე გადააგორ-გადმოაგორა და სათითაოდ დაყნოსა, ბელების სუნი იგრძნო, ოღონდ ვერ მიხვდა საიდან... რას მოიფიქრებს ამ გუნდებში გაყინული დათუჩები სხედანო. ბოლოს გუნდა-ბელები ბუნაგში შეყარა – ჩემს დათუჩებს უცნაური სათამაშოებით გავახარებო...

მიდის დედა დათვი ტყეში, ეძებს დათუჩებს, ეძახის, ეძახის, მაგრამ ხმას არავინ სცემს...

ციყვებმა, ხის ტოტებზე რომ დახტოდნენ, დედა დათვს თოვლი დააყარეს და დასცინეს...

ამასობაში დათუჩები ღუმლის სითბომ გაალხო, შემოადნათ ყინული, გათბნენ, დაიწყეს თამაში...

დედა დათვი დაიღალა ბელების ძებნით, მაგრამ ამაოდ, მათ ნაკვალევსაც ვერ მიაგნო... ლამის ატირდა... იქნებ, ბუნაგში დამემალნენ? მაგალითად, ღუმლის უკან, ან ცოცხის უკან, ან საწოლქვეშ, ან გოდრის უკან... და სათითაოდ ჩამოთვალა ყველა ის ნივთი, რაც აბადია, სულ მცირე ოცდაათჯერ მაინც. გააღო ბუნაგის კარი და რას ხედავს?! თამაშობენ ბელები, ცელქობენ, კინკლაობენ.

მოსიარულე თოვლის გუნდები გამქრალან... ღუმელთან წყლის პატარა გუბე დგას...

გამხიარულდა დედა დათვი... ეხუტება დათუჩებს... ასე აღარ დამემალოთ, აღარ გამაბრაზოთ! სად არიან ის უცნაური სათამაშოები?! ალბათ, დაიმალნენ – ან ღუმლის უკან, ან ცოცხის უკან, ან საწოლქვეშ, ან გოდრის უკან... და კიდევ ოცდაათჯერ მაინც ჩამოთვალა ყველა ის ნივთი, რაც ებადა. რა თქმა უნდა ვერსად წააწყდა. ალბათ, გარეთ გამეპარნენო!..

დედა დათვი ვერ ხვდება, საიდან გაჩნდა ღუმელთან წყლის გუბე.

სუფრაზე კი გემრიელ ღვეზელებს ისევ სასიამოვნო ოხშივარი ასდის...

მხატვარი
ანნა კანდელაკი

საიდ როგორი თოვლის პაპა ჰყავთ?!

ახალი წელი ერთ-ერთი უძველესი და ყველაზე მხიარული დღესასწაულია დედამიწაზე. მას სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებულ დროს აღნიშნავენ. ყველა ქვეყნის ტრადიციები ერთმანეთისგან განსხვავდება.

საქართველოში, ისევე, როგორც ევროპის ბევრ ქვეყანაში, აშშ-სა და ავსტრალიაში, ახალი წელი 1 იანვარს იწყება.

ყველა ქვეყანაში თოვლის პაპა სხვადასხვანაირად გამოიყურება და განსხვავებული სახელი ჰქვია. თუმცა, ერთი რამ ყველა მათგანს აერთიანებს – მათ დამჯერი ბავშვებისთვის საახალწლო საჩუქრები მოაქვთ და, თუ თქვენც გინდათ, საახალწლოდ სანუკვარი საჩუქარი მიიღოთ, მთელი წელი კარგად უნდა მოიქცეთ – თოვლის პაპა ხომ იმ ბავშვებს ასაჩუქრებს, ვინც დედ-მამას უჯერებს, კარგად იქცევა და ბეჯითად სწავლობს.

მოამზადა
გელა გველესიანმა

ბელგიასა და პოლონეთში საახალწლო ბაბუა **წმინდა ნიკოლოზია**. როგორც უძველეს ლეგენდაშია მოთხრობილი, მან ოქროს ვაშლები დაუტოვა იმ ოჯახის ბავშვებს, რომელმაც შეიფარა. წმინდა ნიკოლოზს თეთრი მანტია მოსავს და ცხენზე ამხედრებული მოგზაურობს თავის მსახურთან ერთად, რომელიც ბავშვებისთვის განკუთვნილი საჩუქრებით სავსე მძიმე ტომრის ტარებაში ეხმარება.

ამერიკელ ბავშვებს თავიანთი თოვლის პაპა ჰყავთ, სახელად – **სანტა კლაუსი**. მას წითელი ფერის სამოსი აცვია და თავზეც წითელი ფერის ჩაჩი ახურავს. სანტა ირმების მარხილით მოფრინავს და პატარებთან ბუხრის საკვამლე მილით ჩადის, რათა საჩუქრები კედლებზე ჩამოკიდებულ ფერად-ფერად წინდებში ჩაუწყოს.

ფრანგ ბავშვებს საახალწლოდ თოვლის პაპა **პერ ნოელი** სტუმრობს, მას თავზე ფართოფარფლებიანი ქუდი ახურავს და ხელში კვერთხი უკავია. იგი ბავშვებისთვის საჩუქრებს პირდაპირ ბუხრის საკვამურში ტოვებს.

შვედი ბავშვებისთვის იქაური თოვლის პაპა, **იულ ტომტენი,** საჩუქრებს ღუმელთან ტოვებს. შვედეთში ერთმანეთს თვითნაკეთ სანთლებს ჩუქნიან, რაც მეგობრობის, სიკეთის სიმბოლოა.

გერმანელი თოვლის ბაბუა **ვაინახცმანი** საჩუქრებს ბავშვებს ფანჯრის რაფაზე უტოვებს. იგი ვირით მოგზაურობს.

ჰოლანდიელ თოვლის პაპას **სანდერკლაასი** ჰქვია, კოლუმბიელს **პასკუალი**, ხოლო ირლანდიელს – **დაიდ-ნა-ნოლაგი.**

უზბეკი თოვლის პაპა **კორბობო** ვირზე ზის და ისე ურიგებს ბავშვებს საჩუქრებს. მას თან ახლავს თოვლის გოგონა **კორგიზი**.

იტალიაში ახალ წელს ბავშვებთან სტუმრად მიდიან თოვლის პაპა **ბაბო ნატალე** და კეთილი ფერია **ბეფანა**. დამჯერ ბავშვებს ისინი საჩუქრებს აივანზე უტოვებენ.

იაპონიაში ახალი წლის დადგომას ყველა ღიმილით ხვდება. იაპონელებს მიაჩნიათ, რომ თუ ახალ წელს სიცილით შეეგებებიან, ის წელი ბედნიერი იქნება. იაპონელ თოვლის პაპას **ოძი-სანი** ჰქვია.

ჩინელ ბავშვებს ჩინელი თოვლის პაპა **შან ძან ლაოძენი** მათთვის განკუთვნილ საჩუქრებს წინდებში უწყობს.

ყველაზე უცნაური სახელი ფინელ თოვლის პაპას ჰქვია – **იოულუპუკი**, რაც საშობაო თხას ნიშნავს. დიდი ხნის წინათ ფინელ თოვლის პაპას თხის ქურქი ეცვა და ბავშვებს საჩუქრებს თხაზე ამხედრებული ურიგებდა.

საბერძნეთსა და კვიპროსზე თოვლის პაპას **წმინდა ვასილი** ჰქვია, ესპანეთში (ბასკეთში) – **ოლენცერი**, რუმინეთში – **მოშ ჯერილე**, ჩეხეთში – **ბაბუა მიკულაში**.

საჩუქრები საქართველოშიც ჩვენს კეთილ, თეთრნაბდიან თოვლის პაპას დიდი ხურჯინით მოაქვს. ვინც ყველაზე დამჯერი იქნება, ის ყველაზე კარგ საჩუქარს მიიღებს!

მეფეზე ჭკვიანი ბიჭი მონსი

(შვედური ხალხური ზღაპარი)

იყო და არა იყო რა, იყო ერთი უთვისტომო ბიჭი მონსი. ყველანი ჭკვიან ბიჭს ეძახდნენ. ხელმწიფის ყურამდეც მივიდა მონსის გონიერების ამბავი და მისი ნახვა მოისურვა. უნდოდა დარწმუნებულიყო, მართლა ასეთი ჭკვიანი თუ იყო.

ერთ მშვენიერ დღეს მონსი მეფის სასახლესთან მივიდა და ქუდი მოიხადა.

– რა გქვიაო? – ჰკითხა ხელმწიფემ.

– მონსი მქვიაო, – მიუგო ბიჭმა.

– მართლა ისეთი ჭკვიანი ხარ, როგორც ამბობენო?

– რა მოგახსენოთ, ასე ამბობენო...

– ერთ შეკითხვას მოგცემ, – უთხრა მეფემ, – თუ ახლავე ვერ მიპასუხებ, დილეგში ჩაგაგდებ და იქ მთელ დღეს იფიქრე. აბა, მითხარი, მზის შუქი უფრო თეთრია თუ რძეო?

– მზის შუქი უფრო თეთრიაო, – მიუგო ბიჭმა.

– სტყუი, – უთხრა მეფემ, – ვისაც მზით განათებული ქოხის იატაკი და იქვე დაღვრილი რძე უნახავს, ყველა იტყვის – რძე უფრო თეთრიაო.

მონსი დილეგში ჩააგდეს და როფით რძე დაუდგეს.

ნასადილევს მეფე მონსის სანახავად მივიდა, აინტერესებდა, დილეგში რას აკეთებსო.

მხატვარი
როენა შელეგია

კარი რომ შეაღო, ზღურბლზე დადგმული რძიანი როფი ვერ შეამჩნია, ფეხი წამოჰკრა და დაეცა.

– ხომ დარწმუნდი, მეფეო, რძე მზის სხივზე ნათელი რომ იყოს, როფს ფეხს არ წამოჰკრავდიო.

მეფეს არ ეჭაშნიკა მონსის პასუხი. შინ წასვლა და სახვალიოდ მოსვლა უბრძანა, ოღონდ, არც დღისით მოხვიდე და არც ღამით, არც შუა გზაზე იარო და არც ფერდობზე, არც ცხენით მოხვიდე და არც ქვეითად, არც ტანთ ჩაიცვა და არც შიშველი იყოო. როცა მოხვალ, არც შემოხვიდე და არც გარეთ დარჩეო.

წავიდა მონსი. მეორე დილით ბიჭი ირმის ტყავის მოსასხამით დაბრუნდა. მართლაც, არც ჩაცმული იყო და არც შიშველი. მეფის სასახლისაკენ მიმავალი არც გზით მიდიოდა და არც ფერდობით – გზისპირა თხრილებს მიუყვებოდა. ცალ ფეხზე საცერი ჩამოიცვა, მეორეზე ჯაგრისი. გამთენიისას მეფის სასახლეს მიადგა და შესასვლელთან შეჩერდა: ცალი ფეხი ზღურბლზე ედგა, მეორე – კიბეზე.

ხელმწიფე უკვე ამდგარიყო და სასეირნოდ გამოსულიყო. მიწაზე საცრისა და ჯაგრისის კვალი შეამჩნია. გაოცდა და მონსისაკენ გაეშურა. მონსიმ მოახსენა – თქვენი ბრძანება შევასრულე, გეახელითო. მეფემ მონსი დაითხოვა და სახვალიოდ მოსვლა უბრძანა. მეორე დილით მან მონსის ავი ძაღლებით შეშინება განიზრახა. ბიჭმა ძაღლები ადრევე შეამჩნია, მიხვდა ხელმწიფის განზრახვას და ისიც მოიფიქრა, თუ როგორ უნდა მოქცეულიყო. მეორე დილით სასახლის ეზოში შევიდა თუ არა, ძაღლები ადგილს მოსწყდნენ და გაავებული ყეფით მონსისაკენ გამოექანნენ. მონსიმ მშვიდად ამოიყვანა უბიდან ცოცხალი კურდღელი და ძაღლების წინ გაუშვა. ძაღლები კურდღელს დაედევნენ. კურდღელმა ტყისკენ მოუსვა და მიიმალა. ეს ისეთი სასეირო სანახავი იყო, მეფე იდგა და გულიანად იცინოდა. მასთან ერთად მსახურებიც ხარხარებდნენ.

მე მგონია, ისინი მეფეს დასცინოდნენ, მონსის გამოჭერა რომ ვერ მოახერხა.

თარგმანი
დოდო ხიმშიაშვილი-ვადაჭკორიასი

მოამზადა
6 წლის
ანი გიგაშვილმა

მაკა გოგუა

ზამთარი

შევიბუდებთ ყველა სახლში ზამთრი რომ მოვა,
დაეშვება თეთრი ფარდა-თეთრ ფანტელტა თოვა,
საკვამური გაახრჩოლებს ბოლქვა უალიონებს,
სქელი ნისლი გადეკვრება ცაზე ალიონებს.
ეინვა თითებს გაგვითოშავს თამაშისას ბავშვებს
– არ გაცივდეთ ონავრებო! დედა დაგვიძახებს.
გასათბობად ამოგვიგებს ბებო მატელის საბანს,
გრძელი ღამე მოგვიყვება სიზმრად ზამთრის ზღაპარს.

ფანტელები

ფანტელებს თეთრად
ქათქათა ზეწრად
ჩამოგვაფიფქავს მაღლიდან ზეცა.

მიწა ჩათბება
ძილში იფიქრებს:
დამაფარაო საბანი დედამ.

ზაჟრჟილაჯიჩული

დაიძინე, ვენაცვალე, ძილს მიეცი თავი,
ნუ შეგაკრთობს ზამთრის ავი, მოზუზუნე ქარი.
თოვლი მოდის, შეიმოსა თეთრად მთა და ბარი,
გაზაფხულზე გაგაღვიძებს შენ ნათელი დარი.

მხატვარი
თეა მიქაია

ხალხური

– თოვლის პაპა, დიდი მადლობა საჩუქრისთვის!
– არ ღირს მადლობის გადახდა, ჩემი პატარა.
– მეც ვიცი, რომ არ ღირს, მაგრამ დედამ დაიჟინა.

– მამიკო, მამიკო, აბა, გამოიცანი, რომელი მატარებელი დაიგვიანებს ყველაზე მეტად?
– რომელი, შვილო?
– რომელი და, რომლის ჩუქებასაც შენ ჯერ კიდევ შარშან შემპირდი.

– ნინო, მოდი, წელს პატარა ნაძვის ხე ვიყიდოთ, ლამაზია და ადგილიც პატარა დასჭირდება.
– მერე, თოვლის პაპამაც პატარა საჩუქრები რომ მოგვიტანოს?!

ჯემალ დობორჯგინიძე

საახალწლო ბილეთი

ვარსკლავმა გამოუგზავნა ბარათი ჩემს დას ფიქრიას, ეს საახალწლო ბარათი თოვლის ფუმფულა ფიფქია.

ლალი ჯაფარაშვილი

ბამბუკანა

გამოთალა კომბალკეტი
კომბლემ შვიდზე ორით მეტი,
ეცოტავა, რომ დათვალა,
კიდევ ათი გამოთალა.
კომბლებსა თლის, ჭერში აწყობს,
რუხი მგლები შიშით თრთიან;
მოდი, უფრო შევაშინოთ,
– თქვი, რამდენი გაუთლია?

მხატვარი
ნატა კუცია

იპოვე ორი ერთნაირი ნახატი

გილოცავთ შობა-ახალ წელს!

მხატვარი **ნატა კუცია**

ISSN 0132-5965

9 770132 596009

მთავარი რედაქტორი: დოდო წივწივაძე
ნახატი ყდაზე: გიორგი მაღრაძისა
მის.: ზანდუკელის ქ. 1, ტელ.: 2 93 69 77; 2 72 51 77
http://www.dila.ge, ელ-ფოსტა: **dila1904@yahoo.com,** facebook: **საბავშვო გამომცემლობა დილა**
ფასი: 2.50 ლარი

ჟურნალი გამოდის საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა
და სსიპ „მწერალთა სახლის“ მხარდაჭერით.

საქართველოს კულტურისა
და ძეგლთა დაცვის
სამინისტრო

მწერალთა
სახლი